ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 28 (20869) — ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 2 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ, 1989 ᲬᲔᲚᲘ — ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲓᲦᲔᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲘ:

ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲐ

● ᲛᲔᲗᲝᲠᲛᲔᲢᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ მესამე წელს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი თვითდაფინანსებაზე გადავიდა და დაგეგმილი ზარალიანობის ნაცვლად საგრძნობ წარმატებებს მიაღწია... წლების განმავლობაში ზარალით დაგეგმილი ქარხანა რესპუბლიკისა და დარგის რენტაბელურ საწარმოთა რიგებში ჩადგა. რუსთაველ მეტალურგთა წარმატებაზე გვესაუბრება რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი გურამ ქაშაკაშვილი.

მე-2 გვ.

ᲥᲕᲔᲓᲘᲗᲝᲜᲑᲐ

● „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲔᲑᲡ Უ�პᲐᲡᲣᲮᲔᲑᲔᲜ...

მე-2 გვ.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲘᲥ ᲐᲠᲘᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲡᲘᲫᲜᲔᲚᲔᲑᲐ

● ᲘᲧᲝᲡ იქ, სადაც საქმეს სჭირდება, იქ, სადაც სიძნელეა, სადაც თაოსნობა და ინიციატივაა საჭირო, — ასეთად ჩამოყალიბდა გიზო ნარჩემაშვილის — მშრომელი ადამიანის, კომუნისტის ხასიათი.

მე-2 გვ.

ᲗᲕᲚᲡᲐᲠᲘᲡᲘ — ᲐᲠᲐᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲠᲐᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘᲐ

● ᲐᲠᲐᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲑᲘᲠᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ ᲛᲔᲠᲩᲔᲣᲚᲘ — ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲐ — ᲔᲒᲔᲒᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲒᲕᲘᲑᲠᲣᲜᲝᲗᲝᲗ!

მე-3 გვ.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

● ᲓᲘᲓᲘ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ მქონე აკაკი წერეთლის სახელობის ყვითურის სახელმწიფო თეატრმა პიესით „სპექტაკლი ფეხით მოსიარულეთათვის“, ერთხელ კიდევ გაახარა მაყურებელი — ეს სპექტაკლი დღევანდელი დღეების ენებათაღლევით სუნთქავს და ცხოვრობს.

მე-4 გვ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 31 იანვარს გამართულ სხდომაზე მოისმინა სკკპ წევრის, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის — საქართველოს სსრ პარლამენტის თავმჯდომარის ზ. ა.
 ანგარიში სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე რესპუბლიკის სამშენებლო კომპლექსის გადაყვანისა და გაწეული მუშაობის შესახებ. ᲞᲐᲠᲢᲘᲝᲚᲣᲚᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘᲡ შედეგად მიღწეულია გარკვეული ძვრები მეურნეობრიობის ახალ პირობებში მომუშავე სამშენებლო, საპროექტო და სამეცნიერო-საწარმოო ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში. ᲐᲛᲐᲕᲗᲐᲜᲐᲕᲔ რესპუბლიკის სახალხო საქმიანობაში ჯერ კიდევ საბამისად არ უდგებიან საინფორმაციო პოლიტიკას, სათანადო დონეზე არ არის ორგანიზატორული, ეკონომიკური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა ᲐᲮᲐᲚᲘ ეკონომიკურ რელსებზე გადასვლის სტაბილური პირობების შექმნისათვის, სამეურნეოანგარიშიანი პრინციპების დანერგვის, ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების, შიდასამეურნეო ურთიერთების გამოვლენისათვის. ᲐᲛᲘᲡ საფუძველზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ რესპუბლიკის სამშენებლო მუშაობა ამ მიმართულებით არასაკმარისად ცნო.

განხილულ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში დასახულია გადაჭრილნ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებანი.

პარტიულ კომიტეტებს, აპარატის პარტბიუროსა და სახმშენის საქვეუწყებო ქვედანაყოფებს დაევალათ უზრუნველყონ მეურნეობრიობის ახალ პირობებში ინერტულობის დაძლევისა და მართვის პრაქტიკული ჩვევების დაუფლების საქმეში ზუსტი პოზიციების განსაზღვრაში პარტიული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და თითოეული კომუნისტის როლისა და პასუხისმგებლობის გაძლიერება.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს წინადადება მიეცათ გააძლიერონ პარტიული ხელმძღვანელობა რესპუბლიკის სამშენებლო კომპლექსის ორგანიზაციებსა და საწარმოებში სამეურნეო მექანიზმის რადიკალური რეფორმების განხორციელებისადმი, ამასთან უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების ზრდა, სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცება, სამუშაოთა წარმოების ხარისხის გაუმჯობესება და მათი სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის საკითხთა მოწესრიგება.

მოისმინეს აგრეთვე პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნის ნ. ᲗᲐᲛᲐᲖᲐᲫᲘᲡ ანგარიში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით საუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის გარდაქმნისათვის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ. ამ საკითხზე მიღებული დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდება.

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებისა და ბიუროს იმ გადაწყვეტილებათა შესრულების არადამაკმაყოფილებელი მიმდინარეობის შესახებ, რომელთა მიზანია მექრთამეობასთან, კორუფციასთან, დატაცებასთან, სხვა ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის გაძლიერება და გადაუდებელი ღონისძიებანი ამ მუშაობის გააქტიურებისათვის. ამ საკითხზე დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდება.

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ კომიტეტის ბიურომ მოისმინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის ინფორმაცია, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება „30-40-იან წლებში და 50-იანი წლების დამდეგს უსაფუძვლოდ რეპრესირებულ პირთა რეაბილიტაციასთან დაკავშირებული მუშაობის დამთავრების დამატებითი ღონისძიებების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილების შესრულების ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“. ინფორმაციის შინაარსი გამოქვეყნდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილებანი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სახალხო-სამეურნეო ცხოვრების მთელ რიგ სხვა საკითხებზეც.

ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲓᲐ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲢᲔᲕᲐᲓᲝᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ქარხანა „ელექტროავტომატში“ აითვისეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ავტომატი, რომელიც საცალო ვაჭრობაში გაიგზავნა როგორც ფართო მოხმარების საგანი. იგი თავის წინამორბედთან შედარებით უფრო საიმედო და ეკონომიურია, უძლებს 50 ათას ჩართვას — ორჯერ მეტს, მის დამზადებაზე იხარჯება 25 პროცენტით ნაკლები პლასტმასის მასალა და 32 პროცენტით ნაკლები შავი და ფერადი ლითონი.

სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასული საწარმოო კოლექტივი, ცხადია, ცდილობს გაცილებით უფრო დამჯერებელ შედეგს მიაღწიოს. ამის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ აქ დამზადებულ ყველა სახეობის პროდუქციას მინიჭებული აქვს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი. სახელმწიფო მიღების შემოღების შემდეგ 20-ჯერ შემცირდა მომხმარებლისათვის წუნიანი პროდუქციის გამოშვების შემთხვევა.

ახლა ქარხანაში მიმდინარეობს მაღალმწარმოებლური ტექნიკის დანერგვა, უნდა დამონტაჟდეს აგრეთვე გამწმენდი ნაგებობა.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: № 4 ამწყობი საამქროს კონტროლიორი ნ. კურტანიძე; ამწყობი საამქრო.

ᲗᲔᲝᲓᲝ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ („ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“) ᲤᲝᲢᲝ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘᲗᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲨᲘ

31 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ მოსკოვში, კავშირების სახლში, გაიმართა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მორიგი სხდომა. განიხილეს საარჩევნო ოლქებში სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების წინასწარი შედეგები. აქ დასახელებულია 7,5 ათასზე მეტი სახალხო დეპუტატობის კანდიდატი, ანუ საშუალოდ 5 კანდიდატი ერთ მანდატზე.

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა შემადგენლობის საკითხს განხილვის დროს აღინიშნა, რომ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა პლენუმებზე განხილულ 2 ათასზე მეტი კანდიდატიდან 750 დეპუტატის მანდატზე რეგისტრაციაშია გატარებული 880 კანდიდატი. მათ შორისაა 198 ქალი, 778 სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატი, 103 კომკავშირელი, 140 მუშა, 91 კოლმეურნე, 314 მეცნიერების, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკი და შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენელი. დეპუტატობის კანდიდატთა შორის არიან ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მრავალი ეროვნების წარმომადგენლები.

სხდომაზე აღინიშნა, რომ დასახელებულ კანდიდატთა შორის არიან საბჭოთა საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლები. მათ აერთიანებთ ხალხის ნდობა, აქტიური პოზიცია გარდაქმნაში.

ბელორუსიის სს რესპუბლიკაში, მოსკოვისა და კალუგის ოლქებში არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციებით გამოვიდნენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები ი. ა. ნაუმენკო, ა. ნ. კაშტანოვი, დ. ნ. კუზნეცოვი, რომლებმაც გააცნეს ადგილებზე ამ მუშაობის მდგომარეობა. საოლქო საარჩევნო კომისიების ყურადღება მიაპყრეს იმის საჭიროებას, რომ გულდასმით უნდა მოემზადონ წინასაარჩევნო კრებების მოწყობისათვის, დეპუტატობის კანდიდატთა შესახებ აზრთა თავისუფალი გაზიარების პირობების შექმნისათვის. საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, საარჩევნო კომისიებს წინადადება მიეცათ დაამთავრონ საუბნო კომისიების ფორმირება, უზრუნველყონ მათი მუშაობის სათანადო პირობები, მოაწყონ კომისიათა წევრების მიერ არჩევნების კანონმდებლობის, ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან მოსული მეთოდიკური მასალების შესწავლა

მოისმინეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ა. ვ. ფედულოვის ინფორმაცია კომისიაში მოსული მოქალაქეთა მიმართვების შესახებ. ორი ათასზე მეტი ასეთი მიმართვაა. ბევრი მათგანი შეიცავს არჩევნების შესახებ კანონის გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს, წინადადებებს, თუ როგორ მოაწყონ უკეთ საარჩევნო კამპანია. იღებენ საჭირო ზომებს საბჭოთა ორგანოებისა და საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებებზე საჩივრების გამო.

განიხილეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 1989 წლის თებერვლის სამუშაო გეგმა, აგრეთვე ზოგიერთი სხვა საკითხი, რომლებიც უკავშირდება მომავალი არჩევნებისათვის მზადებას.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ნ. ლუკიანოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ი. ნ. ხრისტორადნოვი.

(ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ).

ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

31 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელზეც განიხილეს მოკავშირე რესპუბლიკების თანამგზრობრობის სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლების განმტკიცების საკითხები სსრ კავშირში ეროვნებათშორისი ურთიერთობის სრულყოფისადმი მიძღვნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის მზადებასთან დაკავშირებით. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების მდივნები — სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის საკითხთა კომისიების თავმჯდომარეები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეთა მოადგილეები — საბჭოთა-საგეგმო კომიტეტების თავმჯდომარეები, ცენტრალური ეკონომიკური და სხვა უწყებების, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელი მუშაკები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები.

თათბირი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ნ. სლიუნკოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის მზადების დროს პარტიულმა კომიტეტებმა ღრმად უნდა გააანალიზონ პრაქტიკული პოლიტიკა ეროვნულ საკითხში. ამ ანალიზმა უნდა ასახოს როგორც არსებული მიღწევები, ისე მომწიფებული პრობლემები, გამოკვეთოს მათი გადაწყვეტის გზები. „ეროვნებათაშორის ურთიერთობის შესახებ“ XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის რეზოლუციის შესაბამისად ცენტრსა და რესპუბლიკებში ჩაღდება მზადება ამ საკითხზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში მთავრდება „თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების სოციალურ მოკავშირე რესპუბლიკებში ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ხელმძღვანელობის გარდაქმნის ზოგადი პრინციპების“ შემუშავება. მზადდება „ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის პროექტი. კანონზე მუშაობის მიმდინარეობა განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ. მოგვიწევს ამ პროექტების ფართო განხილვა.

თათბირზე განიხილეს რესპუბლიკების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, საერთო-საკავშირო ეკონომიკაში მათი წვლილის ზრდის პრობლემები, რესპუბლიკათშორისი ურთიერთობის გაუმჯობესების, საერთო-სახალხო სოციალისტური საკუთრების განმტკიცების ბაზაზე საერთოსახელმწიფო ინტერესებთან მოკავშირე რესპუბლიკის ინტერესების შეთანხმების გზები.

დიდი ყურადღება დაეთმო თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების საფუძველზე რესპუბლიკების უფლებების გაფართოებისა და პასუხისმგებლობის ზრდის საკითხებს. აღინიშნა, რომ ამჟამად მოქმედი ეკონომიკური მექანიზმი ისეა აგებული, რომ სათანადოდ არ ითვალისწინებს რეგიონალურ ფაქტორებს. ის, რომ ჭარბობს მართვის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდები, მეტისმეტად კონცენტრირებულია მატერიალური და ფინანსური რესურსები ცენტრალურ უწყებათა განკარგულებაში, შევიწროებულია საბჭოთა ხელისუფლების რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების ეკონომიკური ბაზა, იწვევს ტერიტორიული პროპორციების დარღვევას, წარმოშობს სერიოზულ რეგიონალურ პრობლემებს, ბოჭავს რესპუბლიკების დამოუკიდებლობას სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაში, იწვევს იმის მისწრაფებას, რომ ცენტრს დაკისრონ ბევრი საკითხი, რომელთა გადაწყვეტა ადგილებზე შეიძლება.

თათბირის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს რესპუბლიკების ეკონომიკური დამოუკიდებლობის არსებით გაფართოებას, მათთვის მთელი რიგი ფუნქციების, უფლებებისა და პასუხისმგებლობის გადაცემას. ამას ხელი უნდა შეუწყოს თვითდაფინანსებაზე გადასვლამ, რესპუბლიკებში საიმედო მატერიალურ-ფინანსური ბაზის შექმნამ ამ ფუნქციების შესასრულებლად. რესპუბლიკების დანახარჯები უნდა დაუკავშირდეს მათს ფინანსურ რესურსებს, რომელთა ოდენობა თავის მხრივ დამოკიდებული უნდა იყოს მათს ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს მუშაობის ეფექტიანობასა და საბოლოო შედეგებზე.

ყველა ორატორმა მტკიცედ დაუჭირა მხარი თეზისს იმის შესახებ, რომ საჭიროა ძლიერი ცენტრისა და ძლიერი რესპუბლიკების შეხამება. წამოყენებულ წინადადებათა მიზანია სსრ კავშირის, ყველა ეროვნულ-სახელმწიფო ფორმირების, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის განმტკიცება.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ნ. ნ. სლიუნკოვმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტერიტორიული მართვის, ცენტრალური და რესპუბლიკური ორგანოების თანამოქმედების ეკონომიკური მექანიზმის გარდაქმნამ, რეგიონების ეკონომიკური დამოუკიდებლობის გაფართოებამ უნდა უზრუნველყოს ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის შემდგომი განმტკიცება. ხელი შეუწყოს შრომის ტერიტორიული დანაწილების უპირატესობათა უფრო სრულ რეალიზაციას ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს, სსრ კავშირის ყველა რესპუბლიკისა და ხალხის ინტერესებისათვის. ეს განსაკუთრებით საჭიროა ჩვენი ქვეყნისათვის, რომელიც გამოირჩევა ბუნებრივ-გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური პირობების განსაკუთრებული მრავალფეროვნებით. თვითმმართველობასა და თვითდაფინანსებაზე გადასვლა მოითხოვს საბიუჯეტო სისტემის, მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების სერიოზულ გარდაქმნას.

განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემებს, რომლებიც შეიძლება და კიდევაც უნდა გადაიჭრას ადგილებზე პლენუმისათვის მზადების დროს, — სახალხო მოხმარების მაღალხარისხოვანი საქონლის წარმოებისა და მომსახურების გადიდებას, ფინანსებისა და ფულადი მიმოქცევის გაჯანსაღებას, ეკონომიკური რეფორმის შემდგომ განვითარებას. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მუშაობის ყველგან გააქტიურებას.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ი. დ. მასლიუკოვი.

(ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ).

ᲓᲘᲓᲘ ᲜᲓᲝᲑᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲗᲐ ᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ მიმდინარეობს საოლქო საარჩევნო კომისიების სხდომები, რომლებზეც რეგისტრაციაში ატარებენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატებს ტერიტორიულ და ეროვნულ-ტერიტორიულ ოლქებში.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატად № 654 თბილისი — ლენინის ტერიტორიულ-საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გატარეს თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ ელექტრომემონტაჟეთა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, 1935 წელს დაბადებული **გურამ არჩილის ᲫᲔ ᲛᲔᲢᲝᲜᲘᲫᲔ.**

№ 166 თბილისის—ორჯონიკიძის ეროვნულ-ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატებად რეგისტრაციაში ატარებენ საქართველოს თეატრალურ მოღვაწეს, კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, 1927 წელს დაბადებული **გრიგოლ დავითის ᲫᲔ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ** და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეორიული ფიზიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი, 1943 წელს დაბადებული **პარმენ იორამის ᲫᲔ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

თბილისის საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკის „კომკავშირელის“ მქარგავი, 1940 წელს დაბადებული **ვიოლეტა სიმონის ᲐᲡᲣᲚᲘ ᲨᲝᲠᲔᲜᲐ** სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს № 658 თბილისის — კიროვის ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატად № 184 სიღნაღის ეროვნულ-ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაშია გატარებული რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი, 1932 წელს დაბადებული **გურამ ᲑᲔᲜᲘᲐᲛᲘᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲥᲐᲨᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი, 1928 წელს დაბადებული **თენგიზ ნიკოლოზის ᲫᲔ ᲛᲔᲜᲗᲔᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ** სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს № 180 მცხეთის ეროვნულ-ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, 1930 წელს დაბადებული **ალბერტ ნიკეფორეს ᲫᲔ ᲗᲐᲛᲑᲘᲔᲕᲘᲫᲔ** სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს № 483 სოხუმის სასოფლო ეროვნულ-ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში. ხოლო № 186 სოხუმის სასოფლო ეროვნულ-ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაშია გატარებული ამერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსი, 1933 წელს დაბადებული **ვიქტორ ᲑᲝᲠᲘᲡᲘᲡ ᲫᲔ ᲑᲚᲐᲒᲝᲠᲘᲜᲘᲜᲘ.**

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატად № 484 გაგრის ეროვნულ-ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარეს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, 1940 წელს დაბადებული **ოთარ გიორგის ᲫᲔ ᲨᲣᲑᲘᲐᲜᲘ.**

(ᲡᲐᲥᲘᲝᲡᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲛᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ Მ. Ს. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ პრეზიდენტის რანგში ფონ ვაიცზეკერის მიწვევით მ. ს. გორბაჩოვი 1989 წლის 12-15 ივნისს ოფიციალურ ვიზიტად ეწვევა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას.

მ. ს. გორბაჩოვს ფედერალურ კანცლერთან ჰელმუტ კოლთან ექნება შეხვედრები, რომელთა დროს განაგრძობენ პოლიტიკურ მოლაპარაკებებს, 1988 წლის ოქტომბერში რომ დაიწყო საბჭოთა კავშირში კანცლერის ყოფნისას.

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ მინისტრთა საბჭოში გაიმართა თათბირი ხუდონესის მშენებლობის საკითხებზე.

მიმდინარე წლის 20 იანვარს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ო. ე. ჩერქეზიასთან გაიმართა თათბირი, რომელიც მიეძღვნა მდინარე ენგურზე ხუდონჰესის მშენებლობის პრობლემას. ინფორმაცია თათბირის შესახებ გამოქვეყნდა 25 იანვარს რესპუბლიკის პრესაში.

ამ თათბირის გადაწყვეტილების შესაბამისად ახლახან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში განიხილეს მშენებლობის რაიონის სეისმური პირობების შესწავლისათვის გამიზნული დამატებითი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ორგანიზაციის, გარემოს დაცვის, მდინარე ენგურზე ჰიდროელექტროსადგურის შემდგომი დაპროექტებისა და მშენებლობის საკითხები. რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით განხილვაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მინისტრის პირველი მოადგილე ს. ი. სადოვსკი, ს. ი. ჟუკის სახელობის საპროექტო-საძიებო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი ინჟინერი ვ. დ. ნოვოეენინი, ინსტიტუტის სეისმოლოგიური და გეოფიზიკური სამუშაოების ხელმძღვანელი ა. ი. სავიჩი და სხვა სპეციალისტები.

მბანაშენონილად ცნეს უახლოესი 2-3 თვის განმავლობაში დაახუსტონ ხურონჰესის ნაგებობაზე სეისმური ზემოქმედების გაანგარიშებანი რეგიონის სეისმურობის შესახებ ახალი მონაცემების გათვალისწინებით, რათა ნაგებობათა სეისმომედეგობა გაიზარდოს 9 ბალამდე. მიიღეს გადაწყვეტილება, განხორციელდეს გრძელვადიანი სეისმოლოგიური კვლევა მდინარე ენგურის აუზში.

განსაზღვრეს დამატებითი ეკოლოგიური კვლევის ვადები და მისი დაფინანსება.

განიხილეს სვანეთის დასახლებულ პუნქტებში სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისათვის გამიზნული სამუშაოების მიმართულება და მოცულობა, ორმლებიც უნდა განხორციელდეს ჰიდროკვანძის მშენებლობის პერიოდში.

მიზანშეწონილად ცნეს ეკოლოგიური და სეისმური ექსპერტიზების საჭირო დასკვნების მიღებამდე აწარმოონ სამშენებლო სამუშაოები მდინარის კალაპოტში დამუშავებული ქვაბულების ფარგლებში და გვერდებზე მხოლოდ იმისათვის, რომ უზრუნველყონ ეკოლოგიური წონასწორობის, ფერდობების მდგრადობის, საძირკვლის დაცვის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე გზის მშენებლობისათვის. 1989 წლის გამოთავისუფლებული რესურსები მოხმარდეს შესტიის რაიონში სოციალტყოფის ობიექტების უპირატეს მშენებლობას.

განიხილეს მოსახლეობის გასახლებასთან დაკავშირებული ზარალის კომპენსაციისა და ახლად აშენებული სახლების ახალმოსახლეთა პირად საკუთრებაში გადაცემის შესაძლებლ

ზარალის ნაცვლად — მოგება

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა რენტაბელური საწარმოა

მეთოთხმეტე ხუთწლედის მესამე წელი გარდატეხის პერიოდი იყო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის ცხოვრებაში. საწარმო თვითდაფინანსებაზე გადავიდა და დაგეგმილი ზარალიანობის ნაცვლად შესამჩნევ წარმატებებს მიაღწია, შარშანდელი სახელმწიფო დავალებები 23 დეკემბრისათვის შეასრულა. წარმოებული და რეალიზებული 262 მილიონი მანეთის პროდუქცია, რაც სარეკორდო და საგრძნობლად — 4,7 მილიონი მანეთით აღემატება ხუთწლედის ბოლოსათვის გათვალისწინებული საკონტროლო ციფრების დონეს.

რუსთაველმა მეტალურგებმა შარშან გამოუშვეს 141 ათას ტონაზე მეტი ზეგეგმითი ძირითადი ნომენკლატურის ისეთი პროდუქცია, როგორიც არის კოქსი, აგლომერატი, თუჯი, ფოლადის ნაგლინი და მილები. 130 პროცენტით შესრულდა ელექტროენერგიის მაწოდების გეგმა, რითაც მეტალურგებმა ჩვენი რესპუბლიკის ელექტროენერგიის დეფიციტი 658 მილიონი კილოვატსაათით შეავსეს (სხვათა შორის, ეს მაჩვენებელი ბევრად მეტია, ვიდრე რონიშვილის, ზაპესისა და სრამჩესის მიერ მთლიანად გამომუშავებული ელექტროენერგია). გამოშვებულია 6,2 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. წარმოების მოცულობის ზრდის მაღალი ტემპი ძირითადად შრომის ნაყოფიერების ამაღლების შედეგია. და სწორედ ამან განაპირობა, რომ წახალისების ყველა ფონდის გათვალისწინებით 36,5 მილიონ მანეთზე მეტი ხელფასი გაიცა (ესეც სარეკორდო მაჩვენებელია).

აღსანიშნავია ისიც, რომ 104,7 პროცენტით შესრულდა სახელმწიფო ნიშნიანი პროდუქციის გამოშვების გეგმა. 100 პროცენტით შესრულდა სახელმწიფო შეკვეთები. მათ შორის საექსპორტოც, რომლის დონემ ფულად გამოსახულებაში 47,8 მილიონ მანეთს გადააჭარბა და მთლიანი სასაქონლო პროდუქციის 18 პროცენტი შეადგინა. მანეთის სასაქონლო პროდუქციის წარმოებისათვის საგეგმო 104,49-ის ნაცვლად 98,12 კაპიკი დაიხარჯა. სწორედ ამ მაჩვენებელმა გახადა შესაძლებელი ის, რომ ქარხნის კოლექტივმა დაგეგმილი 12,2 მილიონი მანეთის ზარალის ნაცვლად შარშან 14,7 მილიონი მანეთის მოგება მიიღო. ამან წლების განმავლობაში ზარალით დაგეგმილი ქარხანა რესპუბლიკისა და დარგის რენტაბელურ საწარმოთა რიგებში ჩააყენა. ამის შესახებ, თუ როგორ და რა საშუალებებით შესძლო ეს ქარხნის კოლექტივმა, მოგითხრობთ ქვემომდებარე წერილში.

მეთოთხმეტე ხუთწლედში ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით აგროსაბრძმედე წარმოება უნდა გზრდილიყო 180, ხოლო ფოლადისა — 140 პროცენტით. და რაც მთავარია, ეს უნდა მომხდარიყო იმ პერიოდში, როდესაც დაშვესანის (აზერბაიჯანის სსრ) რკინის მადნის და ტყიბულ-ტყვარჩელის კოქსვადი ნახშირის წარმოება 2-ჯერ და მეტად შემცირდა. ამის გამო ქარხანა უკრაინის დაბალხარისხიანი რკინისა და კოქსვადი კონცენტრატებით ამარაგებდნენ. ეს კი საწარმოს ზარალიანობას მილიონობით მანეთით ზრდიდა. ამიტომ ზარალმა, წარმოების რეალიზაციის ზრდის გარეშე, მნიშვნელოვნად მოიმატა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სწორედ კოქსქიმიური და აგროსაბრძმედე წარმოებებსა და ფოლადის ინტენსიფიკაციაზე მოდიოდა მეტალურგიული ქარხნის მიერ ბუნების დაბინძურების 70 პროცენტი, ადვილი გასაგებია, ეკონომიკის გართულების პარალელურად რა რთულ ვითარებაში აღმოჩნდა ეკოლოგია.

მეთორმეტე ხუთწლედის პირველ ნახევარში სახელმწიფო გეგმები ითვალისწინებდა მწყობრში აღდგა ჩამდგარი აგლომაბრიკის, ბრძმედის, ჟანგბადის სადგურის, ნაწილობრივ მარტენის სამქროს წარმოების ზრდის მაღალ ტემპს, დაჩქარდა ახალი კოქსქიმიური ბატარეებისა და წამგებიანი ფურცელსგლინავი სამქროს სარეკონსტრუქციო სამუშაოთა დაბოლოებები. შექმნილ ვითარებაში ქარხნის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის დიდმა ნაწილმა გამონახა ქარხნის ეკონომიკურად განვითარების ერთადერთი სწორი გზა, არსებობა შეწყვეტეს კოქსქიმიურმა, სააგლომერაციო, ფურცელსაგლინავმა სამქროებმა, ბრძმედის ერთმა ღუმელმა. ამან საშუალება მოგვცა 27-30 მილიონი მანეთის საგეგმო ზარალის ნაცვლად წელიწადში მიგვეღო 25 მილიონი მანეთის მოგება.

ამ გადამწყვეტ მომენტში საკოორდინაციო სამეჭოს სხდომაზე განიხილეს ქარხნის უახლოესი მომავლისა და პერსპექტიული სამოქმედო პროგრამა. სხდომის ყველა მონაწილე დაეთანხმა აზრს ოთხი მოქმედი სამქროს დახურვის შესახებ, რომელიც 30 მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქციას იძლეოდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ქმედითმა მხარდაჭერამ და ჩვენმა მოწადინებამ, გაეზრახებულმა ეკონომიკურმა დასაბუთებამ შედეგი გამოიღო. 1986 წლის ივლისში რუსთავში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრი და სამინისტროს სხვა პასუხისმგებელი მუშაკები. ისინი ადგილზე გაეცნენ საქმის ვითარებას, მიზანშეწონილად მთჩნიეს ერთი საკოქსე ბატარეის, № 1 ბრძმედისა და ფურცელსგლინავი სამქროს ექსპლოატაციის შეწყვეტა. ამ გადაწყვეტილებით 50 პროცენტით მცირდებოდა ზარალიანობა. მაგრამ თვითდაფინანსებაზე გადასვლისთვის არც ეს იყო საკმარისი, ქარხნის კოლექტივი მაინც მწვავე პრობლემთა წინაშე რჩებოდა. ამიტომ ბრძოლა ამ საკითხის გადაჭრისათვის არ შენელებულა. კვლავაც მხარში გვედგა რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, მხარი დაგვჭირეს ცენტრალურმა და რესპუბლიკურმა გაზეთებმა. ყოველივე ამან განაპირობა, რომ საბოლოოდ განახვრდა კოქსის, აგლომერატისა და ბრძმედის წარმოება.

ბუნებრივ ფასებზე გადასვლამ, ენერგეტიკული ბაზის ალტერნატიული ტიპების ძებნ

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ
ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ
1 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

ᲓᲐᲥᲘᲠᲐᲕᲔᲑᲐ—ᲙᲐᲜᲝᲜᲑᲐᲠᲔᲨᲘ

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. საერთაშორისო გაერთიანების შტაბ-ბინაში გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაქირავების, დაქირავებულთა გამოყენების, დაფინანსებისა და სწავლების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კონვენციის შემუშავების სპეციალური კომიტეტის მერვე სესია.

სესიის მონაწილეებმა უნდა განიხილონ ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის შემუშავების დამთავრებასთან დაკავშირებული საკითხები, რომელთაც დაქირავება საერთაშორისო და ეროვნული კანონების გარეშე უნდა გამოაცხადოს.

როგორც აღნიშნული იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 43-ე სესიის მიერ მიღებულ რეზოლუციაში, დაქირავება „დამღუპველ გავლენას ახდენს საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებაზე, იგი სერიოზულად აძნელებს კოლონიალიზმის, რასიზმის, აპარტეიდის წინააღმდეგ მებრძოლ ხალხთა თვითგამორკვევის პროცესს. აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის 200-ზე მეტ შეიარაღებულ კონფლიქტში დაქირავებულები მონაწილეობდნენ უკვე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. თანამედროვე საბრძოლო ტექნიკით აღჭურვილი ტერორისტთა ბანდები ახლაც გამოუცხადებელ ომს ეწევიან და ფარულ ოპერაციებს ახორციელებენ სუვერენულ სახელმწიფოთა ტერიტორიებზე.

მაგრამ, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური კომიტეტის მრავალი წლის მუშაობა გვიჩვენებს, კონვენციის პროექტის შემუშავება ძალზე ნელა მიმდინარეობს. დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლები ცდილობენ შინაარსი გამოაცალონ მას, რათა არსებითად გაამარწყლონ დაქირავებულთა გადებირების აკრძალვის დებულებანი. დღემდე ვერ მოხერხდა შეთანხმება მომავალი კონვენციის ძირითადი მუხლების შესახებ, მათ შორის იმის შესახებ, თუ ვინ უნდა ჩაითვალოს დაქირავებულად.

ᲩᲘᲜᲔᲗᲘ ᲓᲦᲔᲡ

ᲛᲣᲨᲐᲕᲓᲒᲐ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲖᲔ

1989 წლის დადგომისთანავე ჩინეთში დაიწყო 70-მდე ახალი კანონისა და სამართლებრივი აქტის შემუშავება. მათ შორის არის კანონები განათლების, საგამომცემლო საქმის, საავტორო უფლების, მონოპოლიებისა და კონკურენციის, მომხმარებლის უფლებებისა და ინტერესების დაცვის შესახებ და სხვ. ეს განაცხადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წარმომადგენელმა სუნ ვანჯუნმა.

საკანონმდებლო მუშაობის შესახებ აქ გამართულ თათბირზე გამოსულისას, მან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სამართლის სრულყოფის აუცილებლობას ისეთ პრობლემებთან დაკავშირებით, როგორიცაა ეკონომიკური წესრიგის დამყარება, სამეურნეო სისტემის რეფორმის გაღრმავება და ა. შ.



ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო ცენტრი პეკინში.

● ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ სახალხო რესპუბლიკაში შეიქმნა ეკონომიკური რაიონი, რომელიც მოიცავს შანხაის და მის მიმდებარე პროვინციებს. როგორც სინჰუას საააგენტო ამტკიცებს, რაიონი მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ქვეყნის სამრეწველო და სახოფლო-სამეურნეო პროდუქციის მთლიან წარმოებაში, ბაზრისათვის მიწოდებული საქონლის მოცულობაში, და ექსპერიმენტიდან ვალუტის შემოსულობათა ოდენობაში. ქალაქის ხელისუფლებს ფართო უფლებამოსილებანი მიენიჭათ დადონ შეთანხმება საზღვარგარეთის ფირმებთან უცხოეთის კაპიტალის მონაწილეობით საწარმოების შესაქმნელად. უკვე მოქმედებს 800-ზე მეტი შერეული საწარმო.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ხილის წვენების დამფასოებელი. ნაკადური ბაზი შანხაის ერთ-ერთ საწარმოში, რომელიც უცხოეთის კაპიტალის მონაწილეობით შეიქმნა.

ᲡᲘᲜᲰᲣᲐ-ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ფოტო.

ᲞᲔᲜᲡᲘᲝᲜᲔᲠᲗᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ. **პენსიონერებს უნდა დაეხმაროს მათი შრომისა და დასვენების ორგანიზაციაში ჩინეთის დედაქალაქში შექმნილი ხანში შესულ ადამიანთა პრობლემების ცენტრი.** როგორც მისი განსახლის ცერემონიაზე ჩინეთის კომპარტიის მრჩეველთა ცენტრალური კომისიის წევრმა, ცენტრის თავმჯდომარედ დანიშნულმა ვან შოუდაომ განაცხადა, ახალი ორგანიზაციის ძალისხმევა მოხმარდება სამოც წელს გადაცილებული ყველა ადამიანის შრომის, შემდგომი პროფესიული და შემოქმედებითი განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნას. ცენტრი გეგმავს სხვა დაინტერესებულ დაწესებულებებთან და საწარმოებთან ერთად მოაწყოს სპეციალიზებული საწარმოო საამქროები, სახელონოები, საკონსულტაციო პუნქტები, აგრეთვე კლუბები, სადაც პენსიონერები შეძლებენ ერთად გაატარონ თავიანთი თავისუფალი დრო.

ამჟამად ჩინეთში არის 60 წლის და 60 წელს გადაცილებული 90 მილიონზე მეტი კაცი.

1989-ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲬᲔᲚᲘ

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ დედაქალაქის მუნიციპალიტეტმა 1989 წელი პეკინში უცხოეთის ტურიზმის პროპაგანდის წლად გამოაცხადა. საამისოდ ყველა საფუძველი არსებობს: საზღვარგარეთიდან სტუმრების მისაღებად უკვე მზად არის 100-მდე პირველი კლასის სასტუმრო 24 ათასი ნომრით, უცხოელ ტურისტებს თავიანთ მომსახურებას სთავაზობს 70-ზე მეტი სერვის-ბიუროო და 14 ათასამდე ტაქსი.

ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

14 ᲛᲝᲛᲮᲡᲠᲔ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. შეერთებულმა შტატებმა დაბრკოლება შეუქმნეს იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მიეღო განცხადება, რომელშიც დაგმობილია პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ისრაელის რეპრესიებისა და ძალადობის ესკალაცია. როგორც უშიშროების საბჭოში სამშაბათს გამართული კონსულტაციების მონაწილეებმა ჟურნალისტებს აცნობეს, ამერიკის დელეგაციი ერთადერთი იყო, რომელმაც გაილაშქრა იმ შეთანხმებული დოკუმენტის მიღების წინააღმდეგ, მხარს რომ უჭერდა უშიშროების საბჭოს დანარჩენი 14 წევრი.

ამასთან დაკავშირებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა პერეს დე კუელიარმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პოზიცია კვლავ უცვლელია — ისრაელმა უნდა დაიცვას ოკუპირებულ ტერიტორიებზე ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ ჟენევის კონვენციის ყველა დებულება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში პალესტინის მუდმივი მეთვალყურის მოადგილემ ნასელ ალ-კუდმან ჟურნალისტთა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ვითარება მკვეთრად გაუარესდა პალესტინის ოკუპირებულ მიწებზე, რაც გამოწვეულია ისრაელის მხედრობის რეპრესიების გაძლიერებით.

ᲧᲐᲠᲐᲣᲚᲘ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ განხორციელების ორგანიზაციაში ყარაული შეიცვალა. პენტაგონის ამ უწყების დირექტორის მოვალეობის შესრულებას, რომელიც პასუხს აგებს „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამის განსახორციელებელ სამუშაოთა კოორდინაციისა და რეალიზაციისათვის, შეუდგა სამხედრო-საჰაერო ძალების 55 წლის გენერალ-ლეიტენანტი ჯონ ჯ. მონეჰენი.

მან ამ პოსტზე შეცვალა გენერალ-ლეიტენანტი ჯეიმს აბრაჰამსონი, რომელიც „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ განხორციელების ორგანიზაციას მეთაურობდა 1984 წლის აპრილიდან.

გენერალ-ლეიტენანტის წოდება ჯ. მონეჰენს მიენიჭა 1986 წლის ივლისში. ბოლო წლინახევრის განმავლობაში იგი სამხედრო-საჰაერო ძალების მინისტრის თანამშრომის პირველი მოადგილეა იარაღის შესყიდვის დარგში.

„ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამის განსახორციელებელი საუშაოები ამერიკელ გადასახადის გადამხდელებს უკვე 15 მილიარდი დოლარი დაუჯდათ ბოლო ექვსი წლის განმავლობაში. 1990 საფინანსო წლის ბიუჯეტის მიხედვით პენტაგონი ამ მიზნებისათვის მოითხოვს კიდევ 5,6 მილიარდ დოლარს, რაც 1,8 მილიარდი დოლარით მეტია, ვიდრე 1989 საფინანსო წელს. მაგრამ აქ ფართოდ გავრცელებული აზრით, ამ მოთხოვნას კონგრესი შეკვეცავს ფინანსური და პოლიტიკური მიზეზებით.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. როგორც გაზეთი „უოლ-სტრიტ ჯორნელი“ იუწყება, პენტაგონი მუშაობს სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის შემცირებულ ვარიანტზე“, რომლის მიზანია მოწინააღმდეგის არა ყველა რაკეტის, არამედ მხოლოდ ნაწილის მოსპობა. დასაწყისისათვის ნავარაუდევია შეიქმნას კოსმოსური ბაზირების ელემენტებიანი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა, რომელიც მოსპობს რაკეტების მესამედს.

პირველ ეტაპზე დაგეგმილია დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე განალაგონ 150 სამხედრო თანამგზავრი, რომელთაგან თითოეული აღჭურვილი იქნება 10 რაკეტა-გზაგადამჭრელით. კიდევ 1500 რაკეტაგზაგადამჭრელი განლაგდება მიწისზედა გამშვებ შახტებში. ლიგერმოლის ლოურენსის სახელობის რადიაციის ლაბორატორიაში ახლა შექმნეს ასეთი რაკეტების პროტოტიპი. მას შეუძლია აღმოაჩინოს მოწინააღმდეგის ქობინი, მიუახლოვდეს მას და მოსპოს იგი.

ᲛᲝᲖᲐᲘᲙᲐ

● **ᲯᲐᲐᲑᲐ.** ᲯᲐᲐᲒᲘᲡ სახელმწიფო საცავიდან მოტაცებული რემბრანდტის სურათი „წვერსანი კაცის პორტრეტი“ და მეორე ცნობილი ჰოლანდიელი მხატვრის ‘იან ვან გოიენის ტილო „თამაში ყინულზე“ აღმოაჩინა ნიდერლანდის პოლიციამ.

როგორც ხელისუფლების წარმომადგენელმა ვანდერსადა, სურათები მოიტაცა საცავის ყოფილმა თანამშრომელმა ქალმა. შარშან აპრილში მან მოახერხა ორი ტილოს გამოტანა, რომლებიც დამალა პალტოს ქვეშ. თანამშრომლის საშუალებით გამტაცებელმა სცადა გაეყიდა ისინი, მაგრამ ვერავინ ვერ გაბედა ეყიდა მსოფლიოში ცნობილი ნაწარმოებები.

● **ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ.** „რო�erი“ — ასე ეწოდება დიდ ბრიტანეთში შემუშავებულ სათაბრო რობოტს, რომელმაც უნდა შეცვალოს დარაჯი ძაღლი. უახლესი ელექტრონიკით აღჭურვილი მანქანა საკიელური გადამწყვეტების საშუალებით მიაყურადებს ყოველგვარ გარეგან ხმაურს, ხოლო ბინაში უცხოთა შეღწევის ცდის დროს ატეხს ხმამაღალ ყეფას. ამავე დროს რობოტს შეუძლია ტელეფონით აცნობოს სახლის გატეხის ამბავი პოლიციის უახლოეს უბანს, აგრეთვე შეასრულოს ნინძარსაწინააღმდეგო მოწყობილობის ფუნქციები და ატეხოს განგაში გაზის გაჟონვის პირველი ნიშნებისთანავე.

ᲙᲝᲛᲔᲠᲡᲐᲜᲢᲘ
ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ
ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲚᲔᲑᲐ

ᲓᲔᲚᲘ. ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა რაჯივ განდიმ გამოთქვა რწმენა, რომ მშვიდობიანად მოწესრიგდება ჩინეთთან სასაზღვრო პრობლემა და ნორმალურ კალაპოტში ჩადგება ორი ქვეყნის ურთიერთობა. „ინდოეთი ესწრაფვის მშვიდობას მეზობელ სახელმწიფოებთან და მოქმედებს ამ მიმართულებით“, განაცხადა რესპუბლიკის მთავრობის მეთაურმა ქალაქ ბარდაში (მაჰარაშტრის შტატი) გამართულ მასობრივ მიტინგზე.

ინდოეთი, რომელიც თავის საგარეო პოლიტიკას საფუძვლად უდებს მშვიდობისა და უძალადობის იდეალებს, თქვა რ. განდიმ, საერთაშორისო ასპარეზზე იღვწის ამ მიზნების პრაქტიკული მიღწევისათვის, ხალხთა თანამშრომლობის განმტკიცებისათვის. ამის დადასტურებაა დახმარება, რომელიც ინდოეთმა გაუწია შრილანკის ხალხს კუნძულზე ეთნიკური კრიზისის მოწესრიგებაში, აგრეთვე ხელშეწყობა მალდივის რესპუბლიკისათვის ამასწინანდელი აგრესიის მოგერიებაში, რომელიც მიმართულია ამ სახელმწიფოს თავისუფლებისა და სუვერენიტეტის წინააღმდეგ, თქვა პრემიერ-მინისტრმა.

ᲩᲘᲜᲔᲗᲘ ᲓᲦᲔᲡ

ᲞᲔᲜᲡᲘᲝᲜᲔᲠᲗᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ. **პენსიონერებს უნდა დაეხმაროს მათი შრომისა და დასვენების ორგანიზაციაში ჩინეთის დედაქალაქში შექმნილი ხანში შესულ ადამიანთა პრობლემების ცენტრი.** როგორც მისი განსახლის ცერემონიაზე ჩინეთის კომპარტიის მრჩეველთა ცენტრალური კომისიის წევრმა, ცენტრის თავმჯდომარედ დანიშნულმა ვან შოუდაომ განაცხადა, ახალი ორგანიზაციის ძალისხმევა მოხმარდება სამოც წელს გადაცილებული ყველა ადამიანის შრომის, შემდგომი პროფესიული და

● ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ სახალხო რესპუბლიკაში შეიქმნა ეკონომიკური რაიონი, რომელიც მოიცავს შანხაის და მის მიმდებარე პროვინციებს. როგორც სინჰუას საააგენტო ამტკიცებს, რაიონი მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ქვეყნის სამრეწველო და სახოფლო-სამეურნეო პროდუქციის მთლიან წარმოებაში, ბაზრისათვის მიწოდებული საქონლის მოცულობაში, და ექსპერიმენტიდან ვალუტის შემოსულობათა ოდენობაში. ქალაქის ხელისუფლებს ფართო უფლებამოსილებანი მიენიჭათ დადონ შეთანხმება საზღვარგარეთის ფირმებთან უცხოეთის კაპიტალის მონაწილეობით საწარმოების შესაქმნელად. უკვე მოქმედებს 800-ზე მეტი შერეული საწარმო.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ხილის წვენების დამფასოებელი. ნაკადური ბაზი შანხაის ერთ-ერთ საწარმოში, რომელიც უცხოეთის კაპიტალის მონაწილეობით შეიქმნა.

ᲡᲘᲜᲰᲣᲐ-ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ფოტო.

ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘ

„ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ“ ᲑᲘᲣᲠᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ ᲡᲘᲜᲓᲠᲝᲛᲘ

ᲑᲘᲣᲠᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ წარმოშობის პირობები ყოველგვარ საზოგადოებრივ სტრუქტურას გააჩნია, რამდენადაც ყოველ საზოგადოებაში ცალკეულ პიროვნებათა და სოციალურ ჯგუფთა ინტერესები და მოთხოვნილებები, მეტწილ შემთხვევაში, განსხვავებულია. როცა ამ ფაქტს ალვნიშნავთ, გვებადება აზრი იმის შესახებ, თუ სად ძევს ზღვარი საზოგადოებრივ ინტერესსა და იმ ინტერესს შორის, რომელიც პიროვნებას, თანდათანობით საკუთარ ეგოისტურ ინტერესად ექცევა? ცხადია, ამ კითხვაზე პასუხის პიროვნულ დონეზე გაცნობიერებას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არაგადამწყვეტი, რადგან საზოგადოებრივი გაცნობიერების, ბიუროკრატიის არსისა და ფუნქციონირების მექანიზმის გლობალური გაანალიზების გარეშე ბიუროკრატიის ფონი, მისი „საჩრდილობელი“ არსებობას მაინც გააგრძელებს. და მაინც, რაც შეეხება ბიუროკრატიის ანალიზს გაცნობიერების საკითხსა და ღირებულებას ცალკეულ პიროვნებათა დონეზე, იგი იმდენად მწირი და არაფერსმომცემელია, რომ მისი მოხმობა ვითარების სალიუსტრაციოდ ბიუროკრატიის პორტრეტს არათუ არ მატებს რამდენადმე აუცილებელ შტრიხებს, არამედ, პირუკუ, ერთის ამახინჯებს მას. ამიტომ აუცილებელია, რომ ჩვენ გაგვაჩნდეს ბიუროკრატიის მეტ-ნაკლებად სრული პორტრეტი.

ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲖᲛᲘᲡ კლასიკოსთა შრომებში ჩვენ ვხვდებით ბიუროკრატიისა და ბიუროკრატიული ურთიერთდამოკიდებულებების თეორიულ გაანალიზებას, მაგრამ ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ მათ არასდროს მიიჩნდათ საკუთარი ნააზრევი ჭეშმარიტებად უზენაეს ინსტანციაში და ჩვენც ჩვენის მხრივ არ უნდა მივიჩნიოთ ისინი დოგმებად. კ. მარქსი ჯერ კიდევ თავის ადრეულ ხელნაწერებში (მაგალითად, „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის“) მიგვანიშნებდა ბიუროკრატიის სოციალურ-ეკონომიკური არსებობის მიზეზებზე, რომლებსაც იგი სავსებით სწორად ხედავდა „დაბზული“, „კარჩაკეტილი“ საზოგადოების ეგოისტურ პრინციპებში. კ. მარქსი მშვენივრად ამჩნევდა, რომ ცხოვრების ცოდნა, კომპეტენტურობა, ზნეობრივი და სოციალური პასუხისმგებლობა ჩირადაც არ უღირს ბიუროკრატს, ვინაიდან ამ ატრიბუტებმა იგი საკუთარ „დალხენილ“ ყოფიერებას შეიძლება მოსწყვიტონ. ამდენად, მეცნიერული მართვის პრინციპები ბიუროკრატიისათვის მტრული პრინციპებია.

კვლევის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა რუსეთის (რუსული) ბიუროკრატიის ფენომენი, რომელიც თავის დროზე შესანიშნავად წარმოაჩინა ვ. ი. ლენინმა თავის წიგნში „სახელმწიფო და რევოლუცია“. ერთადერთი გამოცდილება, რომელიც ლენინს შეეძლო ისტორიიდან გამოეყენებინა, პარიზის კომუნა იყო და იგი სწორედ ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით წერდა: „მუშები, დაიპყრობენ რა პოლიტიკურ ძალაუფლებას, დაამსხვრევენ ძველ ბიუროკრატიულ აპარატს, მთლად დალეწავენ მას, ქვას ქვაზე არ დასტოვებენ მისგან და შეაქმნიან ახალი აპარატი, რომელიც შედგენილი იქნება სწორედ ამავე მუშა-მოსამსახურეებით, და მათი ბიუროკრატებად გადაქცევის წინააღმდეგ მაშინვე მიღებული იქნება ღონისძიებანი, რომლებიც დაწერილებით არის განხილული მარქსისა და ენგელსის მიერ: 1) არა მარტო არჩევითობა, არამედ ყოველ დროს შესაძლებელი გამოცვლა; 2) მუშის ხელფასზე არა უმეტესი გასამჯელო; 3) დაუყოვნებლივ გადასვლა იმაზე, რომ ყველა ასრულებდეს კონტროლისა და შეთვალყურეობის ფუნქციებს, რომ დროებით ყველანი ხდებოდნენ ბიუროკრატები და რომ ამიტომ არავის არ შეეძლოს გახდეს ბიუროკრატი“. (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 600-601).

სურვილი, ცხადია, სურვილია, მაგრამ სინამდვილე, და ისიც რადიკალურად შეცვლილი, გაცილებით რთული აღმოჩნდა. ამ შეცვლილ სინამდვილეში პარალელურად მიმდინარეობს ორი რთულისა და, ფაქტობრივად, ერთი მიზნის მქონე პროცესი: დამარცხებული ბიუროკრატია, ერთი მხრივ, ცდილობს შეინარჩუნოს, დაიბრუნოს პოზიციები, ხოლო მეორე მხრივ, ამებასავით წამდაუწუმს სახეს იცვლის, რათა ახალი სინამდვილისათვის შესაფერისი ფორმა მიიღოს. საბჭოური სინამდვილის პირველი წლებიდან მოყოლებული ამ სინამდვილის „ერგოული“ მტრის როლში ორნაირი ბიუროკრატია გამოდის: ძველი, მაგრამ სახეშეცვლილი, და ახალი, საკუთრივ საბჭოური სინამდვილის პირმშო. საბჭოური სინამდვილის პირველ წლებში ვ. ი. ლენინი არაერთგზის მიუთითებდა „ახალი“ ბიუროკრატიის მიზეზებზე: „ჩვენ უნარი არ შეგვწევს საჯაროდ გავასამართლოთ საზიზღარი ჯანჯღლობა: ამისათვის ჩვენ და ინუტიციის სახალხო კომისარიატი ორმაგად უნდა ჩამოგვკიდონ მყარი თოკით. და მე ჯერ არ დამიკარგავს იმედი, რომ ჩვენ ამისთვის როდისმე ჩამოგვკიდებენ“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 36, გვ. 640).

ვ. ი. ლენინს, რასაკვირველია, ბრწყინვალედ ესმოდა, რომ ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, რომელიც ქვეყანა ამ მდგომარეობამდე მიიყვანა რევოლუციის პირველ წლებშივე, ის იყო, რომ ქვეყანა განიცდიდა მართვას დაუფლებული კადრების საშინელ დეფიციტს და ამიტომ მართვის სფეროს ეტაბლებოდა ყველა, ვისაც სურვილი გაუჩნდებოდა და, ირონიით თუ ვიტყვით, ვისაც არ შეშლიდნენ!

„ჩვენ აქა-იქ მოგვეტმასნენ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — კარიერისტები, ავანტიურისტები, რომლებმაც კოზონსტები დაირქვეს და ვვატყუებენ, რომლებიც შემოძვრნენ ჩვენს რიგებში იმიტომ, რომ უფრო პატიოსანი „მსახური“ ელემენტები არ მოვიდნენ ჩვენთან სამუშაოდ თავიანთი ჩამორჩენილი იდეების გამო, ხოლო კარიერისტებს არავითარი იდეები, არავითარი პატიოსნება არ გააჩნიათ“. (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 287).

ასე და ამგვარად იწყო ჩამოყალიბება „სოციალისტურმა“ ბიუროკრატიამ და იგი სულ უფრო და უფრო დაუახლოვდა საბჭოთა ხელისუფლებას და თანდათან სახელმწიფო აპარატის საკუთარ ინტერესებში გარდაქმნას შეუდგა, რასაც, დაუფარავად უნდა ვთქვიაროთ, სამწუხაროდ, მიაღწია კიდეც და რაზეც ჩვენი ქვეყნის სამოცდაათწლიანი ისტორიის შემდეგ სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის ერთ-ერთი რეზოლუციაც მოწმობს „ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შესახებ“.

ახლა ყოველგვარი კონიუნქტურული „მორიდების“ გარეშე დავუსვათ კითხვა საკუთარ თავსა და რევოლუციის მერმინდელ ჩვენს ისტორიას: ხალხის ისტორიულ და სოციალურ შემოქმედებას ოქტომბრის შემდგომ პერიოდში რა უფრო განსაზღვრავდა — პოლიტიკურ-იდეოლოგიური თვალსაზრისები თუ ეკონომიკური ურთიერთობები? ამ კითხვაზე არასწორი პასუხის გაცემის უფლებას ჩვენივე ისტორია არ მოგვცემს, ვინაიდან ჩვენი ქვეყნის რევოლუციისშემდგომი ისტორიის პირველივე ნერგი იდეოლოგიურ-პოლიტიკური იყო და ნაყოფიც მისი შესაბამისი. იდეოლოგიურ-პოლიტიკური თვალსაზრისები განსაზღვრავდა ყოველგვარი წარმოების ორგანიზაციასაც, მთლიანად საზოგადოებრივ ცხოვრებას და ამ ვითარებაში ყალიბდებოდა ახალი საზოგადოებრივი ცნობიერება და აზროვნება. აქ უკვე მეორე კითხვამ იბარტყა: პოლიტიკამ პრიორიტეტი მოიპოვა ეკონომიკასთან და როგორ გავიგოთ ეს, როგორ მოხდა, რომ პოლიტიკამ „გაასწრო“ ეკონომიკას და ეკონომიკის წინ აღმოჩნდა? უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, — ისე ხომ არ მოხდა, ვაგონმა გაასწრო ლოკომოტივს და ახლა ამ უკანასკნელს ეზიდება წინ? ხომ არ დარღვეულა აქ საზოგადებრივი განვითარების მამოძრავებელი ძალის მარქსისეული მოძღვრების დებულება?

ახლა ისევ ისტორიას მივუბრუნდეთ და ოქტომბრის რევოლუციას შეეხედოთ Post Factum. 1918 წელს ვ. ი. ლენინი კ. მარქსისგან განსხვავებით წერდა: „სახელმწიფო მართვის ამოცანა, რომელიც ახლა წინა პლანზე დაესახა საბჭოთა ხელისუფლებას, კიდევ იმ მთავისებურებას წარმოადგენს, რომ ახლა საქმე ეხება, და, შეიძლება ითქვას, პირველად ცივილიზებული ხალხების უახლეს ისტორიაში — ისეთ მართვას, როცა უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება არა პოლიტიკას, არამედ ეკონომიკას“. (ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 42, გვ. 48).

როგორც ვხედავთ უკვე განხორციელებულ სოციალისტური რევოლუციის ლენინურ თეორიაში, მარქსისგან განსხვავებით, უმთავრესი აქცენტები გადაადგილებულია, თუმცა მოგვიანებით ვ. ი. ლენინი წერს: „პოლიტიკას ეკონომიკასთან შედარებით არ შეიძლება პირველობა არ ეკუთვნოდეს, სხვანაირად მსჯელობა ნიშნავს მარქსიზმის ანბანის დავიწყებას“. (ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 32. გვ. 88).

„ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ“ ᲑᲘᲣᲠᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ ᲡᲘᲜᲓᲠᲝᲛᲘ

პოლიტიკისა და ეკონომიკის თანაფარდობასა და ეკონომიკურ პოლიტიკაში ამგვარი მეტამორფოზებისა და ძიებების ნაყოფი იყო ის, რომ 1921 წელს უარი ვთქვით „სამხედრო კომუნიზმზე“ და გადავედით ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე. ქალაქსა და სოფელს შორის უშუალო გაცვლის იდეა, როგორც ყოვლად უსაფუძვლო და უპერსპექტივო, ლენინის მიერ უარყოფილი იქნა. საქმე მარტო ის კი არ იყო, რომ ამ პრინციპის დამკვიდრებას გაგრძელება გლეხობასთან ფაქტობრივ ომს ნიშნავდა და ცხადია, „გამარჯვებულის“ დამარცხებასაც. ამის უფრო ღრმა ფესვი იმაში მდგომარეობდა, რომ ლენინი, როგორც უახლესი ტიპის პოლიტიკოსი, ვერ დაუშვებდა ერთთა გაბედნიერებას სხვათა გაუბედურების ხარჯზე. პოლიტიკა, რომელისთვისაც ადამიანი მხოლოდ ხაშუალებაა, უცხო იყო ლენინისათვის.

და მაინც რა ფაქტორებს უნდა გამოეწვია „სოციალისტური“ ბიუროკრატიის „რენესანსი?“ ყველაფერი რომ ობიექტურ პირობებს გადავაბრალოთ, ამით ამ კითხვას კვლავაც უპასუხოდ დავტოვებთ. ისე კი უნდა ითქვას, რომ პირველ წლებში გადადგმული ზოგიერთი ნაბიჯი აშკარად ნაჩქარევი იყო. როგორც აღვნიშნეთ, არ გაამართლა ქალაქსა და სოფელს შორის უშუალო გაცვლის პრაქტიკამ ანუ, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაცვლამ, ქალაქსა და სოფელს შორის ზღვარის ხელოვნურად წაშლამ და ა. შ.

ახალი ეკონომიკური პოლიტიკა იყო ერთადერთი გარანტი იმ დროს, რომელსაც შეეძლო ეჩვენებინა, რომ პოლიტიკა და იდეოლოგია კი არ განსაზღვრავს ეკონომიკური განვითარების ფორმებს, არამედ პირუკუ, საზოგადოების ეკონომიკური განვითარება განსაზღვრავს შესაბამის პოლიტიკურ ფორმებს. როგორც ცნობილია, ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას არსებობის დიდი დღე არ ეწერა. სტალინს ეკონომიკის განვითარების საკუთარი კონცეფცია გააჩნდა, რომლის შედეგადაც ახალი ეკონომიკური პოლიტიკის დროს ჩასახულმა დემოკრატიამ დაბადება ვერ მოახერხა. ის საშობ ჩაკლეს. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის მიერ ერთგვარად შეზღუდულმა ბიუროკრატიამ ცენტრალიზმი კარგად მოარგო. უკიდურესი ცენტრალიზმის საბურველში გახვეულმა ბიუროკრატიამ სტალინის შემწეობით იმგვარი კონცენტრირება განიცადა, რომ ამან, თავის მხრივ, დიდებულად შეუწყო ხელი სტალინისავე ერთპიროვნულობას და გაბელადებ-

ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘ

ას. ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სტალინი ბრწყინვალედ ჩაწვდა „სოციალისტური“ ბიუროკრატიის ზრახვებს და იგი საკუთარ მიზნებს დაუმორჩილა მაქსიმალურად.

„სოციალისტური“ ბიუროკრატიული ცენტრალიზმის მანქანამ „საშუალად“ იმუშავა კოლექტივიზაციის დროს. სტალინი „საჯაროობის“ პრინციპის მიმდევარი იყო და ამიტომ არც მალავდა, რომ ქვეყანას სჭირდებოდა პური, რომელიც, ცხადია, მუშას არ გააჩნდა და რომ ჭონოდა, გლეხისაგან უნდა ჭონოდა. იმ დროს პური ხაშუალო გლეხს ჰქონდა. გლეხი თანახმაა გაცვალოს პური სამრეწველო საქონელზე, მაგრამ ეს საქონელი სახელმწიფოს ჯერ არა აქვს. სამრეწველო საქონელს უპირველ ვერ შექმნი. მოკლედ ასე შეიქმნა მოჯადოებული წრე. მაინც როგორ მოახერხა სტალინმა ამ ერთი შეხედვით ყოვლად შეუძლებელი ნახკვის გახსნა? უყველაზეოროდ, უეჭვოვალენტოდ გლეხი არაფერს მოგცემს. ეს იცის სტალინმა. მაგრამ მან ისიც იცის, რომ ამის გაკეთება შეიძლება კოლმეურნეობის მეშვეობით. სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, სტალინის იდეამ „გამარჯვება“ იზეიმა — გლეხები ფორსირებულად გააერთიანეს კოლმეურნეობებში.

ასე მოხდა შრომის პროცესისა და შრომის ნაყოფის სრული გაუცხოება. და სწორედ, ამჟამად ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე რეფორმები რომ ზოზინით მკვიდრდება, ესეც წარსულის სამწუხარო ტ

ჩვენი დღეების ვნებათაღელვით

რევაზ მ ველაძის პიესა „სპექტაკლი ფეხით მოსიარულეთათვის“ გარდაქმნის ცხელ კვალზე დაიწერა და ამ ერთი წლის განმავლობაში უკვე მოასწრო ჩვენი რესპუბლიკის თეატრებში დამკვიდრება. დიდი წარმატებით მიდის ის ჭიათურის ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრში. პიესა მაყურებელმა გულთან მიიტანა, რადგანაც მასში იპოვა თანამედროვეობის არაერთი მწვავე პრობლემა და მწერლისეული გაბედული პასუხი ეპოქის მტკივნეულ საკითხებზე.

რას გვიამბობს პიესა? კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელმა, შეახანს მიღწეულმა სოსო კახაძემ, თავის სიცოცხლეში პირველად თქვა კრებაზე სიმართლე. პიროვნება, რომელიც აქამდე საზოგადოებრივ ცხოვრებაში თითქმის არ ერეოდა, ერთბაშად წარმოჩნდა საზოგადოების ერთი ნაწილისათვის გაბედულ და ჭკვიან, ხოლო მეორე ნაწილისათვის საშიშ პიროვნებად. პიესა იწყება სოსოს გამოსვლით კრებაზე და მოქმედება ვითარდება უაღრესად შეკუმშულ დროში. მწერალი გვიჩვენებს, რა გადახდა თავს მის გმირს იმავე საღამოს და მეორე დღეს და არა მარტო საზოგადოების სხვადასხვა ფენის დამოკიდებულება გვიჩვენა სოსოს გამოსვლის მიმართ, არამედ საოჯახოზე გამოიტანა ის სამარცხვინო „ღონისძიებები“, რასაც რაიონის ხელმძღვანელობამ მიმართა, სოსოს მოწოდებას ფართო მასშტაბი რომ არ მისცემოდა. მაინც, რა თქვა სოსომ? კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელმა კრებაზე განაცხადა, რომ გარდაქმნა შედეგს ვერ გამოიღებს, რადგანაც გარდაქმნის გასაღები მათვე შეკეთოვეთ ხელში, ვინც თეთული წლების განმავლობაში განუკითხაობას და უძრაობას ამკვიდრებდა, რომ ნაბრძანები დემოკრატიით შორს ვერ წავალთო... და თუ მართლაც ცხოვრების განახლება გვინდა — პიროვნების თავისუფლებით, არჩევნებით, სიტყვის, სინდისის თავისუფლებით უნდა დავიწყოთო.

ჭიათურის თეატრს სარეცენზიო სპექტაკლი უკანასკნელი წლების მოვლენების მხატვრულ მატიანედ ჩაუფიქრებია და სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა წარმოდგენის თავისებური, დროის რიტმთან მისადაგებული სტილი. სცენაზე ჩვენი ყოველდღიურობის პანორამული სურათი იხატება. პუბლიცისტური უტყუარობის და დროის პათოსის ანაბეჭდი იგრძნობა არა მარტო პიესის სიუჟეტში, არამედ რეჟისორის ხელწერაში. სპექტაკლის ავტორებს სურთ წლების განმავლობაში ცხოვრებასთან ამაო ჭიდილით დაღლილ ადამიანთა ბედი სოციალურ მოვლენებთან მჭიდრო კავშირში გვიჩვენონ. ეცნობით პერსონაჟთა სცენურ ვნებათღელვებს და აშკარად გრძნობთ, რომ ისინი ხშირად უმწეონი არიან შეცვალონ თავიანთი ბედი, შეცვალონ სინამდვილე. რაკიდა მათს ყოველდღიურობაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს თითქოსდა ამ ადამიანებთან არც თუ პირდაპირ კავშირში მყოფი, მაგრამ ჯერ კიდევ ძლიერი და დაურღვეველი ბიუროკრატიული სინამდვილე.

სპექტაკლის დამდგმელი კოლექტივის გამარჯვება იმ ფაქტებშიაც განაპირობა, რომ სცენაზე დახატული ცხოვრება უაღრესად დაუახლოვდა ჩვენი დღეების სინამდვილეს: თითქოსდა რეჟისორმა დარბაზიდან პირდაპირ სცენაზე აიყვანა თავისი გმირები და ფიქრთა თავისუფალი გამოხატვის საშუალება მისცა.

თეატრი

კახაძე თავის მძაფრ პუბლიცისტურ მონოლოგში მოუწოდებს მაყურებელს, ყველანი გაერთიანდნენ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომ ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს, რომ ახლა ამ დარბაზშიც სხედან ისინი, განახლებისათვის ზარების რეკვას სისულელედ რომ მიიჩნევენ. ავანსცენაზე გამოსულ, თეთრ სუდარაში გახვეულ სოსო კახაძეს მაყურებლისათვის ბოლოს ასეთი თამამი განაჩენიც კი გამოაქვს; „რესპუბლიკის პროკურორს ვთხოვ, კარებში ჩადგეს და თეატრიდან გამოსულ მოქალაქეს თვალებში ჩახედოს“.

პიესას დრამატულ სიმძაფრეს ჰმატებს არა მარტო ჩვენი ყოველდღიურობის წიაღიდან აღებული მწვავე სიუჟეტი, არამედ მოქმედების დინამიკური განვითარება და, რაც მთავარია, საინტერესო, კოლორიტულ პერსონაჟთა მთელი წყება. კარგა ხანია არ გვინახავს ერთად მკვეთრი ინდივიდუალობით აღბეჭდილი ასე დასამახსოვრებელი სცენური ხასიათები.

სპექტაკლი დადგა საქართველოს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ სოლომონ ყიფშიძემ. რეჟისორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან კარგად მოახერხა მაყურებლამდე მიეტანა პიესისათვის დამახასიათებელი პრობლემურობა, ირონია, სატირული სიმძაფრე და ხასიათთა მასშტაბურობა. რეჟისორის ხელწერა რეალისტურია., იგი სპექტაკლს გარეგნული ეფექტების გარეშე აგებს. პირველი სურათიდან ფინალამდე მაყურებელს არ სტოვებს თანდგომის,. ნაცნობი გარემოს აღქმის განცდა. სპექტაკლი პიესას მიჰყვება და ის მცირე სიტუაციური კორექტივები, ან სცენური დინამიკისათვის აუცილებელი გადახვევები, რაც სპექტაკლში გვხვდება, თვითმიზნური როდია — მწერლის ჩანფიქრის მაყურებლამდე უკეთ მიტანის ამოცანას ემსახურება.

საყურადღებოა ლომგულ მურუსიძის მხატვრობა. დასაწყისიდანვე ყურადღებას იპყრობს დაუმთავრებელი იატაკი და აივანი, რომელიც ნიშანია დიდი ხნის წინ კარგად დაწყებული, მაგრამ მერე სავალალოდ გაგრძელებული, ან საერთოდ დაუმთავრებელი საქმისა. ბოძებს შორის გაბმული წვრილი თოკები, უაღლგასული ბიუსტები, ძველი გაზეთები, მოძველებული ტრანსპარანტები ისტორიის ცოცხით ადრე და მალე გასაგები უსარგებლო საგნებია.

სპექტაკლის . პუბლიცისტურ პათოსს კარგად ესადაგება კომპოზიტორ ევგენი ჭავჭანიძის მუსიკალური გაფორმება.

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის როდერ ჩაჩანიძის ბიოგრაფიაში სოსო კახაძის სახე უთუოდ მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს. მსახიობმა შეძლო შეექმნა ჩვენი დღეების გმირის, შინაგანად მართალი, გაბედული, ენაკვიმატი და გარეგნულად უბრალო ქართველი კაცის კოლორიტული სახე. განსხვავებულად გადაუწყვეტია იგივე როლი მსახიობ ანდრო ხვედელიძეს და თავისებურად მისი სცენური სახეც მომხიბვლელია.

საინტერესო, კოლორიტული სახეები შექმნეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა გივი მოდებაძემ (სალდაძე), ლევან ხვედელიძემ (ვაჩნაძე), ლილი თავაძემ (ნადია).

ასე რომ, დიდი ტრადიციების მქონე ა. წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრმა ამ პიესით, ერთხელ კიდევ გაახარა მაყურებელი — ეს სპექტაკლი სუნთქავს და ცხოვრობს დღევანდელი დღეების ვნებათაღელვით...

ეთერ ჯიშკარიანი,
ლეილა რამიშვილი,

ავტორთა თხოვნით ამ რეცენზიის ჰონორარი გადაირიცხება სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ფონდში.





ლესელიძის ქუჩის სილუეტები.



სიმონ კილაძის („კომუნისტი“) ფოტო.

საქართველო: კვლავ თოვს

რესპუბლიკის ტერიტორიის დიდ ნაწილზე, განსაკუთრებით მის დასავლეთში, კვლავ თოვს. 1 თებერვალს თოვლის საფარმა შეადგინა: სოხუმში — 11, გუდაუთში — 17, ცაგერში — 40, გეგეკორში — 48, ამბროლაურში — 45 სანტიმეტრი. ნახევარ მეტრამდე თოვლი დადო ზესტაფონის, მესტიის და ლენტეხის მიდამოებში. მაგრამ „რეკორდსმენი“ გახდა აბარა, სადაც კვლავ ძლიერ თოვს. მაგალითად, ხულოს რაიონში თოვლის საფარმა თითქმის სამ მეტრს მიაღწია.

მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ტყიბულშიც, სადაც 210 სანტიმეტრი თოვლია, რიკოთის უღელტეხილზე კი 2 მეტრს გადაჰარბა.

თოვლისა და ძლიერი ქარის გამო დაიხურა უღელტეხილი და მოძრაობა შეწყდა მთელ რიგ საავტომობილო გზებზე. როგორც საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზათა სამინისტროს ინფორმაციის განყოფილებაში გვაცნობეს, ავტოტრანსპორტის მიმოსვლა შეწყდა კობსა და გუდაურს შორის, თერჯოლა-ტყიბულის, ქუთაისი-ტყიბულის, ტყიბულ-ამბროლაურისა და გომ-საჩხერის გზატკეცილის დიდ მონაკვეთზე. მთელ რიგ საავტომობილო ტრასებზე ნებადართულია მოძრაობა მხოლოდ დაცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებით.

გაუჭირდათ რკინიგზელებსაც.

— საქართველოს ცენტრალურ ნაწილში და დასავლეთში რკინიგზებზე ამოქმედდა თოვლსაწმენდი ტექნიკა, სარემონტო სამსახურები გამზადებული არიან, — თქვა ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილემ ვლადიმერ ჯაფარაშვილმა, — შემადგენლობანი, მათ შორის ის შემადგენლობანი, რომლებიც სომხეთის მიწისძვრით დაზარალებულ ზონებში მიდიან, დღეს პრაქტიკულად შეუფერხებლად მოძრაობენ.

— ძლიერმა თოვამ გაზარდა ზვავების საშიშროება, — თქვა რესპუბლიკის მიდრომეტცენტრის განყოფილების უფროსმა გიორგი ოქროჯანაშვილმა. — უახლოესი დღეების ამინდის პროგნოზი დამაფიქრებელია: დასავლეთ საქართველოში ყველგან თოვს, აფხაზეთის გარდა. (ხაძინფორმი).

ძველი არბატის ციკლიდან.

გაბრი ვადაჯკორიას ფოტო.

რატომ შეფერხდა მშენებლობა

საქართველოს ხელოვნების მუზეუმის მუშაკებისათვის მშენებლებს არ უთქვამთ ასეთ შემთხვევებში ტრადიციული „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“ რა თქმა უნდა, არ შემდგარა მუზეუმის ახალი მშენებარე კორპუსის მასპინძლებისათვის გასაღების საზეიმო გადაცემაც. თავდაპირველი ჩანაფიქრით კი ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი მომენტი უნდა დამდგარიყო ჯერ კიდევ 1987 წელს. სწორედ მაშინ იყო ნავარაუდევი დაემთავრებინათ ექვსსართულიანი კორპუსის მშენებლობა, რომლის სასარგებლო ფართობი 9 ათას კვადრატულ მეტრს აღემატება. შედარებისათვის შევნიშნავთ, რომ შენობის ფართობი, რომელიც ახლა უკავია მუზეუმს, არ აღემატება 3,5 ათას კვადრატულ მეტრს, რაც, რა თქმა უნდა, ვერ აკმაყოფილებს ეროვნული კულტურის ამ დიდი კერის მოთხოვნებს.

— ახალ კორპუსში, რომელიც ეკვრის ამჟამად არსებული მუზეუმის შენობას, გათვალისწინებულია საექსპოზიციო დარბაზები, ოთახ-საცავები, სარესტავრაციო სამუშაოთა კაბინეტები, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში მუზეუმის დირექტორმა თამაზ სანიკიძემ. — ამით იქმნება ერთიანი კომპლექსი, სადაც შეიძლება გამოფენით ერთიორად მეტი ხელოვნების ნაწარმოები, ვიდრე ახლა. გარდა ამისა ისახება კეცხოველის ქუჩაზე თავისებური სამუზეუმო ცენტრის შექმნის რეალური პერსპექტივა. ლომბარდის ყოფილი შენობა გადაეცემა ფიროსმანის ნამუშევრების სრულ ექსპოზიციას. აქვე გვერდით, როგორც ეცნობილია, მდებარეობს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ლადო გუდიაშვილის სახლ-მუზეუმი და სახელმწიფო რესტავრაციური ბიბლიოთეკა. მაშასადამე, იქმნება შესაძლებლობა ქალაქის მთავარი პროსპექტის გვერდით გვქონდეს კულტურის ნამდვილი სავანე. მაგრამ, ვერ მოხერხდა დასახული ვადისათვის ახალი კორპუსის მშენებლობის დამთავრება.

— ამ ობიექტის მშენებლობის სამუშაოებს ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ შევუდექით, — გვითხრა გეგმოიჯარე ორგანიზაციის წარმომადგენელმა, რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 13 ტრესტის № 3 სამშენებლო სამართველოს სამუშაოთა მწარმოებელმა გიორგი ჩიქვილაძემ. — შენობის ღირებულება სულ 2,8 მილიონი მანეთია. თითქოსდა დიდი სიძნელე არ იყო ამ თანხის ათვისება. ჩვენც სწორედ ამის იმედი გვქონდა, მაგრამ საქმე სხვაგვარად აეწყო. ჯერ ერთი, თითქმის ერთი წელი დასჭირდა ძველი შენობის დანგრევასა და სამშენებლო მოედნის მომზადებას. შემდეგ, როგორც კი მოვხსენით მიწის ზედა ფენა, გრუნტის წყლები წამოვიდა...

— გეოლოგებმა დაგვაღალატეს?

— არა, მათი ბრალი არ არის. ეს მეტრომშენებლებმა თავის დროზე მიწისქვეშა ტრასის გაყვანისას გზა გადაეკეტეს ბუნებრივ ნაკადებს და წყალმა ზედაპირზე ამოიწია. ერთი სიტყვით, ამის გამო საჭირო გახდა პროექტში შეგვეტანა შესაბამისი ცვლილებები, რასაც, ბუნებრივია, სჭირდებოდა დრო. სხვათა შორის, პროექტის შესახებ, თავდაპირველი ვარიანტით ობიექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 1,6 მილიონ მანეთს შეადგენდა. შემდეგ, მასში უცხოური ნაწარმის შეტანასთან დაკავშირებით, ეს თანხა სახვევრად და მეტად გაიზარდა.

ობიექტურობა მოითხოვს ვთქვათ, რომ მშენებლებს მართლაც გაუჭირდათ. მათ ხელს უშლის საჭირო ტერიტორიის უქონლობა, სამშენებლო მოედანზე ძალზე დიდი სივიწროვეა. ასეთ პირობებში ყველაზე გამართლებულია პირდაპირ „თვლებიდან“ მონტაჟი, მაგრამ მაშინ მკაცრად უნდა დაიცვან საშენი მასალების, რკინაბეტონის კონსტრუქციების მიტანის გრაფიკი. სამწუხაროდ ეს ვერ ხერხდება, რადგანაც სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოები ვერ უზრუნველყოფენ მშენებლობას დეტალებით მათი მონტაჟის თანამიმდევრობის შესაბამისად. ასე იყო, მაგალითად, 1986 წელს, როცა ქარხნებმა ვერაფრით ვერ მოახერხეს გამოეგზავნათ ცხრამეტრიანი გადასახური იმის გამო, რომ მასში არ იყო საჭირო ზომის არმატურა. და ამიტომ სამონტაჟო სამუშაოები თითქმის გასული წლის შემოდგომამდე გაჭიანურდა.

ახლა ამ სრული სვლით მიმდინარეობს მოსაპირკეთებელი სამუშაოები, როგორც ჩანს, ობიექტის სამშენებლო მზადყოფნა უზრუნველყოფილი იქნება, მაგრამ აქ კიდევ უნდა განხორციელდეს საეკონომიკური მოწყობილობის, კონდიციონერების სისტემის მონტაჟი და სხვა. უნდა დაჩქარდეს ამ მოწყობილობის მიტანა, რათა დროულად გაუხსნან სამუშაოთა ფრონტი სუბმოიჯარეებს. საჭირო მშენებლობაში მონაწილე ყველა ორგანიზაციის უფრო მჭიდრო კონტაქტი, მეტი პასუხისმგებლობა, რათა ფინიშის სწორზე თავიდან ავიცილოთ სავალალო შეფერხებები სამშენებლო კონვეიერის ცალკეული რგოლების მოქმედებაში და ექსპლატაციისათვის გამზადებული ობიექტი ჩავაბაროთ.

ბოროტსა სძლია კეთილმან...

ჩვენს დღეებში, საჯაროობისა და გარდაქმნის ვითარებაში, სრულიად ახალი იმპულსი მიეცა და მეტად აქტიური გახდა სხვადასხვა საზოგადოებრივი, მათ შორის შემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაობა. ერთი წლის წინათ თბილისში შეიქმნა ახალი შემოქმედებითი გაერთიანება — საქართველოს დიზაინერების კავშირი, რომლის თავმჯდომარედ არჩეულია სსრკ სახალხო მხატვარი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ზურაბ წერეთელი, რომლის ნამუშევრებს ქარგად იცნობენ როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის საზღვრებს გარეთაც.

ახლახან ზურაბ წერეთელი დაბრუნდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, შევხვდით მას და ვთხოვეთ, მოეთხრო თავისი შთაბეჭდილება ამერიკაში ყოფნის შესახებ.

აი რა გვითხრა მან:

— მეტად საინტერესო შეხვედრები გვქონდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წარმომადგენლებთან და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან. ამერიკელები დიდ ინტერესს იჩენენ ჩვენს მიმართ. კოლეგებთან შეხვედრისას, რომლებიც ყოველთვის მეგობრულ ატმოსფერონი მომდინარეობდა, ჩემთან მოდიოდნენ ახალგაზრდა მხატვრები, გამოთქვამდნენ საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის სურვილს, მთხოვდნენ დახმარებას ამ საქმეში, კერძოდ, აინტერესებთ საქართველოში ჩამოსვლა ქართველი ხალხის, მისი ისტორიის, ხელოვნების, არქიტექტურული ძეგლების, არქეოლოგიის, ადათ-წესების, ფოლკლორის გაცნობა. დარწმუნებული ვარ, მალე შესაძლებელი იქნება ამერიკელი სტუმრების მიღება...

ამერიკის შეერთებული შტატების დიზაინერებთან ერთად შეევლო სწორედ ამ თანხის ათვისებას. ჩვენც სწორედ ამის იმედი გვქონდა, მაგრამ საქმე სხვაგვარად აეწყო. ჯერ ერთი, თითქმის ერთი წელი დასჭირდა ძველი შენობის დანგრევასა და სამშენებლო მოედნის მომზადებას. შემდეგ, როგორც კი მოვხსენით მიწის ზედა ფენა, გრუნტის წყლები წამოვიდა...

— გეოლოგებმა დაგვაღალატეს?

— არა, მათი ბრალი არ არის. ეს მეტრომშენებლებმა თავის დროზე მიწისქვეშა ტრასის გაყვანისას გზა გადაეკეტეს ბუნებრივ ნაკადებს და წყალმა ზედაპირზე ამოიწია. ერთი სიტყვით, ამის გამო საჭირო გახდა პროექტში შეგვეტანა შესაბამისი ცვლილებები, რასაც, ბუნებრივია, სჭირდებოდა დრო. სხვათა შორის, პროექტის შესახებ, თავდაპირველი ვარიანტით ობიექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 1,6 მილიონ მანეთს შეადგენდა. შემდეგ, მასში უცხოური ნაწარმის შეტანასთან დაკავშირებით, ეს თანხა სახვევრად და მეტად გაიზარდა.

ობიექტურობა მოითხოვს ვთქვათ, რომ მშენებლებს მართლაც გაუჭირდათ. მათ ხელს უშლის საჭირო ტერიტორიის უქონლობა, სამშენებლო მოედანზე ძალზე დიდი სივიწროვეა. ასეთ პირობებში ყველაზე გამართლებულია პირდაპირ „თვლებიდან“ მონტაჟი, მაგრამ მაშინ მკაცრად უნდა დაიცვან საშენი მასალების, რკინაბეტონის კონსტრუქციების მიტანის გრაფიკი. სამწუხაროდ ეს ვერ ხერხდება, რადგანაც სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოები ვერ უზრუნველყოფენ მშენებლობას დეტალებით მათი მონტაჟის თანამიმდევრობის შესაბამისად. ასე იყო, მაგალითად, 1986 წელს, როცა ქარხნებმა ვერაფრით ვერ მოახერხეს გამოეგზავნათ ცხრამეტრიანი გადასახური იმის გამო, რომ მასში არ იყო საჭირო ზომის არმატურა. და ამიტომ სამონტაჟო სამუშაოები თითქმის გასული წლის შემოდგომამდე გაჭიანურდა.

ახლა ამ სრული სვლით მიმდინარეობს მოსაპირკეთებელი სამუშაოები, როგორც ჩანს, ობიექტის სამშენებლო მზადყოფნა უზრუნველყოფილი იქნება, მაგრამ აქ კიდევ უნდა განხორციელდეს საეკონომიკური მოწყობილობის, კონდიციონერების სისტემის მონტაჟი და სხვა. უნდა დაჩქარდეს ამ მოწყობილობის მიტანა, რათა დროულად გაუხსნან სამუშაოთა ფრონტი სუბმოიჯარეებს. საჭირო მშენებლობაში მონაწილე ყველა ორგანიზაციის უფრო მჭიდრო კონტაქტი, მეტი პასუხისმგებლობა, რათა ფინიშის სწორზე თავიდან ავიცილოთ სავალალო შეფერხებები სამშენებლო კონვეიერის ცალკეული რგოლების მოქმედებაში და ექსპლატაციისათვის გამზადებული ობიექტი ჩავაბაროთ.

3. ჭეხაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარეგისტრირება — 1955 წლიდან სულ ერთი, ოცკამეტი მხიშვნელობის პერსონალური ეროვნული ... ...

დაიბადა 1925 წელს, კასპის რაიონის სოფელ ქვემოჭალაში — გლეხის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1943 წელს იგი ფრონტზე გაიწვიეს, შრომითი საქმიანობა დემობილიზაციის შემდეგ, 1950 წლიდან თბილისის ფეხსაცმელების ფაბრიკა „ისანში“ დაიწყო.

მუშაობის პერიოდში გ. ჭეხაშვილმა აღზარდა არაერთი თაობა ახალგაზრდა მუშებისა. მას მრავალჯერ გაუმარჯვია სოციალისტურ შეჯიბრებებში, 1966 წელს შრომაში მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით. 1971 წელს — მერვე ხუთწლედში მისი დიდნაყოფიერი შრომის შედეგებისათვის მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

გ. ჭეხაშვილი არჩეული იყო სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების დელეგატად, სხვადასხვა წლებში თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, პარტიის თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომის წევრად.

სპეტაკი კომუნისტის, კარგი მოქალაქისა და მეგობრის გურგენ ჭეხაშვილის ხათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

სპორტის ამბები

ვინ უმასპინძლებს უნივერსიადას?

მას შემდეგ, რაც ბრაზილიის ქალაქმა სან-პაულომ ფინანსური სიძნელეების გამო უარი თქვა უნივერსიადა 89-ის მასპინძლობაზე, ამ დიდი შეჯიბრების გმართვა ჯერ სეულს, შემდეგ კი აშშ-ს ქალაქ რეინის სთხოვეს. უნივერსიადის ორგანიზატორებმა ამ ორივე ქალაქიდანაც უარი მიიღეს. ახლა საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ უნივერსიადის მოწყობა შესთავაზა აშშ-ს, მოროკოს, გფრ-ის, ბულგარეთისა და სსრ კავშირის ქალაქებს. ეს, განაცხადა ამ ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა როკ კამპანამ ბრიუსელში გამართულ პრესკონფერენციაზე და თანაც დასძინა, რომ უნივერსიადის მასპინძლის ვინაობა უნდა გაირკვეს არა უგვიანეს ორი კვირისა. და ეს იმიტომ, რომ უნივერსიადა შოახლოვდა (19-30 აგვისტო) და მისთვის მზადების დრო ერთობ მცირე რჩება.

17 წელი მიუსაჯეს

შარშან აგვისტოს ქალაქ ბრენდონში (აშშ) წყალსტომაში ოლიმპიადა 84-ის ვერცხლის medlist მფლობელმა ბრიუს კიმბალმა, რომელიც ავტომანქანას მთვრალ მდგომარეობაში მართავდა, ვერ დაიმორჩილა მანქანის საჭე და მოზარდების ჯგუფში შეიჭრა. ორი მოზარდი გარდაეცვალა, ოთხი კი მძიმედ დაშავდა. ქალაქ ბილსბოროში გამართულ სასამართლო პროცესზე კიმბალს წინასწარგანუზრახველი ბრალდებით 17 წლის პატიმრობა მიუსაჯეს. აღსანიშნავია, რომ კიმბალი სეულის ოლიმპიადისათვის ემზადებოდა და ალკოჰოლისადმი მიდრეკილებამ, როგორც ხედავთ, საპატიმროში მიიყვანა.

მოკლედ

● **ფეხბურთი.** ბრაზილიაში დასასრულს მიუახლოვდა ვეტერანთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი. დღეს გაიმართება ფინალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდებიან ბრაზილიისა და ურუგვაის ნაკრები გუნდები.

იტალიის მთავრობამ დაამტკიცა ფეხბურთში 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტისადმი ფინანსური დახმარების პროგრამა. სასტუმროების მშენებლობისათვის და რეკონსტრუქციისათვის, ტრანსპორტისათვის და აგრეთვე ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გამოყოფილია 2,6 მილიარდი დოლარი.

რედაქტორი
ნ. ჩერქეზიშვილი.

საქართველოს კპ ტყიბულის საქალაქო კომიტეტი, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს კპ ტყიბულის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი

ბივი ალექსანდრეს ძე ცაქიშვილიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

კოლექტიური მეგალეობის წევრების და ყველა მოქალაქის საყურადღებოდ: ვისაც აქვს მიწის ნაკვეთი და სურს მოკლე ხანში აიშენოს კომფორტული ხაგარაკო ტიპის სახლი, ვაცნობებთ, რომ ცეკავშირის სისტემის რაიკოოპორგანიზაციებმა, ხე-ტყითა და საშენი მასალით მოვაჭრე მაღაზიებსაწყობებში მიიღეს და ამჟამად იყიდება 181-115-99/1, 2 ტიპის სამოთახიანი ასაწყობი სტანდარტული სახლები.

ამ სახლების საცხოვრებელი ფართობი 50 კვადრატული მეტრია და 5400 მანეთი ღირს; ასეთი ტიპის სახლის ასაწყობად (საძირკველის მომზადების ჩათვლით) საკმარისია სამი კვირა (21 დღე).

ცხობებისათვის მიმართეთ: ტელეფონები — 99-95-76; 99-99-83.

ცეკავშირის გამგეობა, „საწარმოო გაერთიანება „საქკოოპდიზაინრეკლამა“.

ტელევიზია — ხუთშაბათი, 2 თებერვალი

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.05 — „ნაშუადღევს“. 13.50 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია. 16.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჯავის ხეობა“. 16.20 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.30 — „ათლეტიზმი“. 17.00 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 17.30 — კინოჟურნალი „ერალაში“. 17.40 — ახალგაზრდობისათვის. ვსაუბრობთ დემოგრაფიულ საკითხებზე. 18.35 — განცხადებები. 18.40 — წარდგენილია საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიაზე (V გადაცემა). 19.05 — საქართველოს სსრ ცეკავშირისა და სიმღერის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავის“ კონცერტი. 19.35 — რეკლამა. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — სტუდია „დიალოგი“. 21.15 — ქართული ბალეტის საღამო. 21.50 — წერილის დღე. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროექტორი. 22.50 — სატელევიზიო ფესტივალი „სიცილი ეკრანზე“. ქართული მხატვრული ფილმი „არაჩვეულებრივი გამოფენა“.

მეორე პროგრამა. 16.50 — სატელევიზიო დადგმა „ირკუტსკული ამბავი“. I და II ნაწილი. 19.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფერთა სიმფონია“. 19.30 — კინოჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“. 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „მხატვრის ცოლის პორტრეტი“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გარდაქმნის პროექტორი“ (მ.).

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“. 9.35 — მხატვრული ტელეფილმი „ქრისტეფორე კოლუმბი“. II და III სერია. 12.15 — ახალი ამბები. 12.25 — ბავშვის საათი. 16.30 — ახალი ამბები. 16.40 — საბავშვო მხატვრული ტელეფილმი „ციკეი ჩამოვიდა“. II სერია. 17.55 — ახალი ამბები. 18.00 — დოკუმენტური ფილმი. 18.20 — „...16 წლამდე და უფროსი ასაკისა“. 19.05 — საქართველოს სსრ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „რუსთავის“ კონცერტი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მულტიპლიკაციური ფილმი. 20.15 — ძალაუფლება — საბჭოებს. დოკუმენტური ფილმი „მიმართვა“. 20.35 — მხატვრული ტელეფილმი „ქრისტეფორე კოლუმბი“. III სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროექტორი. 22.50 — ვ. გავრილინი — „ანიუტა“. სპექტაკლი. 0.40 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 9.45 და 10.35 — ბუნებისმეტყველება. IV კლასი. 10.05 და 12.05 — ესპანური ენა. 10.55 და 15.10 — დოკუმენტური ფილმები. 11.05 — პროფესიონალური სასწავლებლებისათვის. ზოგადი ბიოლოგია. 11.35 და 12.35 — ბიოლოგია. VII კლასი. 13.05 — მხატვრული ტელეფილმი „გრძელი გზა დიუნებში“. I სერია. 14.20 — ახალი ამბები. 14.25 — „ფლერს კანკლაი“: გადაცემა ვილნიუსიდან. 18.05 — მხატვრული ტელეფილმი „გრძელი გზა დიუნებში“. II სერია. 19.20 — ახალი ამბები. 19.30 — უფროსკლასელთა ლიტერატურული თამაში „სახე“. 20.45 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.00 — ვოლგოგრადის ტელესტუდიის პროგრამა. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროექტორი. 22.50 — მხატვრული ტელეფილმი „გრძელი გზა დიუნებში“. II სერია. 0.05 — ახალი ამბები. 0.15 — ტელეკონკურსი „იურმალა-89“.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 10344 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის ზრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ბოუარაულის ფ 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14